*<u>პროექტი</u>*

**საქართველოს ორგანული კანონი**

**„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“**
**საქართველოს ორგანულ კანონში დამატების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1**. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (პარლამენტის უწყებანი, №45, 21.11.1997, გვ. 76) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

**1.კანონის 30 მუხლის $7^1$ პუნქტი შემდეგ დაემატოს $7^2$ პუნქტი შემდეგი რედაქციით:**

„$7^2$. პარტია, რომელიც იღებს დაფინანსებას ამ მუხლით დადგენილი წესით, მიიღებს საბაზო დაფინანსებაზე დანამატს საბაზო დაფინანსების 50%-ის ოდენობით, თუ ამ პარტიის ან შესაბამისი საარჩევნო ბლოკის მიერ იმ არჩევნებზე წარდგენილ პარტიულ სიაში (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებზე – ყველა პარტიულ სიაში), რომლის შედეგების საფუძველზედაც მიიღო დაფინანსება, კანდიდატთა პირველ, მეორე და ყოველ მომდევნო ათეულში წარმოდგენილი ყოველი მეორე კანდიდატი ერთიმეორისაგან განსხვავებული სქესისაა“.

**მუხლი 2**

1. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**